ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №159027

ნომერი: AR146157

თარიღი : 03.05.2012

გაცემის თარიღი : 10.05.2012

გაცნობის თარიღი : 10.05.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. აბულაძე , N 32 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იგორი პაჩკა პ/ნ 01897002478
- თბილისი ბესიკის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განმეორებით განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულა დატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, თ. აბულაძის ქ. #32–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, არსებული მშენებარე შენობის აივანზე გათბობის ქვაბის კარადისა და კონდიციონერის გარე ბლოკის მოწყობაზე თანხმობის გაცემას, პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული სამუშაოების განხორციელება, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი (რაც სამსახურის მიერ ასევე გეცნოთ №140837 გადაწყვეტილებით):

1.საჭიროა საკადასტრო ერთეულის დამატებაში, საკადასტრო კოდში მიეთითოს სარეკონსტრუქციო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით ან „ფაილის მიმაგრების“ ველში აიტვირთოს აღნიშნული ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
2. საჭიროა „ფოტომონტაჟი“–ს ველში აიტვირთოს ისეთი ფოტომონტაჟი, სადაც გათბობის ქვაბის კარადასთან ერთად, ასევე გამოჩნდება კონდიციონერის გარე ბლოკი.
3.ვინაიდან განცხადების შევსებისას არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია საპროექტო ფართის საკადასტრო კოდის წილობრივ მონაცემების შესახებ, გაურკვეველია საპროექტო ფართის მესაკუთრის ვინაობა. გამომდინარე აქედან გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.